ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ჯ. ლოლუასი



— მეგობარო, თქვენ ურიგოდ მობრძანდით!..

ნიანგი

11 83

ახალი სახელები

ზოთა ლელაძე დაიბადა ქუთაისში, 1955 წელს. საშუალო აკოლის დამთავრების შემდეგ მშობლიური ქალაქის ოპერის თეატრში მუშაობს მხატვარ-შემსრულებლად, თოჯინების თეატრში — მხატვარ-ბუტაფორად. მან მხატვრულად გააფორმა სპექტაკლები სახალხო თეატრების სცენებზე.

გთავაზობთ ახალგაზრდა მხატვრის რამდენიმე ნამუშევარს.

— ახალი წელი, კაი ხანია, გავიდა და, ანრ, ვილა გამილებს კარებს, ელექტრომრიცხველი რომ შევამოწმო?!.

— გეყოფა ამდენი სმა!.. სცენაზე გა[illegible]ხარ!
— ერთბაშად ავტოინსპექტორმა არ გამარეროს!..

— ახლავე ადექი ჩემი ადგილიდან, სანამ ადმინისტრატორს გამოვუძახებდე!..

ღვინისძიება ღონისძიების შემდეგ!..

— დაგენაძლავები, ამაზე უკეთესად თუ ვინმე ცეკვავდეს ქუთაისში!..

ქუთაისის თოჯინების თეატრი ნახევარსარდაფშია მოთავსებული, რის გამოც სპექტაკლები ხარვეზებით მიდის.

— რატომ არ ინყებთ წარმოდგენას?! — დილით ერთი გოჯი გაგვექცა, — დავიჭერთ ეს — დავიწყებთ!...

ქუთაისური სალაპარაკო

ქალაქის სააფთიაქო სამმართველოს უფროსი — მიხეილ ჭიჭინაძე — ჩემი ახლო მეგობარია. ან რომელი ქუთაისელის მეგობარი არაა იგი! ავადმყოფობა, ჩემო ბატონო, ისე დაუკაკუნებლად შემოგიღებს სახლის კარებს, როცა არ ელი! ჰოდა, მიშა ბატონია ყველას იმედი!..

ერთხელ ცოტა ნასვამი, ჩვენებურად — შეზარხოშებული — მთლად იმერულად — შეპიანცებული — შევედი სახლში ღიღინ-ღიღინით.

— რა გამღერებს, კაცო შენ?!. — „შემომეგება“ ცოლი, — მიშა ავარიაში მოხვედრილა!.. იქნებ, ცოცხალიც აღარ არის!..

წამში გამოვფხიზლდი, ვეცი ტელეფონს.

— გისმენთ! — მომესმა მიშას მეუღლის ხმა.

— რა ამბავია?! როგორ ხართ?! როგორაა მიშა?! — ჩავყვირე და ჩავყვირე ყურმილში.

მცირე დუმილის თუ პაუზის შემდეგ:

— ძაღლს კოჭლობით რა მოკლავს?!.

— ესე იგი?!

— თვითონ გეტყვის!..

— ჰო! — ვიცანი მიშას კნაკილა ხმა და უცებ მეც ხუმრობის გუნებაზე დავდექი:

— მიშა, რამე წამალი ხომ არ გჭირდება?! შენ რომ იცი, იმ უბანში გიშოკი! — ჩავგესლე ჩემი ჭკუით.

— აპა, არა?! ნარეტანი გლასათაა ჩემი საქმე!. ვერც ჩვენებურმა და ვერც უცხოურმა წამალმა ვერაფერი მიშველა, ვერ დამაძინა! არადა, ჩემს მდგომარეობაში, ახლა ძილია მთავარი! თუ კაცი ხარ, რომელიმე შენი წიგნი მომიტანე! დაცდილი ნაქვს — ორი ფურცლის ჩაკითხვა და ჩაძინება ერთი იქნება!..

●

ძმებივით შეზრდილ-შეთამამებული, შეხუმრებული გარბიძაშვილები — იასონა და ბუჭულია ჩხეიძეები შეხვდნენ ერთმანეთს.

— გავიგე, ძაღლს ეძებ თურმე, იასონ! რატომაც არა! — შენი სახლ-კარისა და ეზო-გარემოს პატრონს, დიახაც უნდა მცველი! შენ რომ გეკუთვნის და გეკადრება, იმნაირ ჯიშიერ ძაღლს სად იშოვი?!. იყიდე ჩემი გიშერა! — მამა-შვილში ღირს სამასი მანეთი, მარა შენ ორასად წაიყვანე!

— ბუჭულია ჩხეიძე! ძაღლი იმიტომ მჭირდება, შენ რომ არ ჩამოგიშვას ეზოში!..

●

შაკიამ ქუჩა გადაჭრა, გაზონს გადაალაჯა და წინ მილიციელიც გამოეჭიმა:

— მოძრაობის წესი დაარღვიეთ!.. გადაიხადეთ ჯარიმა!..

— რა ბოგართვა?!

— მანეთი!

შაკიამ ორი მანეთი მისცა და ქუჩის მეორე მხარეს დარჩენილ ამხანაგს გასძახა:

— გადმოი, შოთაია, დაპაიჟებული ხარ!

●

— სხვას რას ვერჩი, ჩემო ბატონო, სიმწრით გაზრდილ საკუთარ შვილიშვილზე ვიფხანე ენას, — ნამოიწყო ერისტო ნიქაბაძემ და წვერი ჩამოიხუთითა. — მინდა, იცოდეთ, რაფერ ვუყვარვარ, რაფერ ცდილობს, გამიხანგრძლივოს სიცოცხლე!.. გუშინწინა ადრე ავდექი, ეღბლად კრანტში წყალი კი ბოდიოდა, გავაფსე ჩაინიკი, შემოვდგი გაზქურაზე, გავკარი სპიჩკას და... თქვენს მტერსა და მოავეს, მე რომ დამემართა: თურმე, საცხა ეპარებოდა გაზი ქურას, იხუვლა, იფეთქა ალმა და მეცა წვერულვაშში!.. მიშველეთ-მეთქი ვიბღავლე, მარა რა ვიბღავლე!..

ჩემი სტუდენტი შვილიშვილი ბეორე ოთახიდან გამოეღოდა, მევიდა ჩემამდე და აბრიალებულ წვერზე სიგარეტს მოუკიდა!..

დავით კვიცარიძე

რომანი ერთ კარად და ორ ეპილოგად

კარი პირველი

ტელეფონი ფრიად კარგი გამოგონებაა. იგი რომ არ არსებობდეს, განა ასეთი ერუდირებული და ზრდილობიანი ვიქნებოდი?! როდესაც სისხამ დილით — თორმეტი საათისათვის — მოვდივარ სამსახურში, ღამენათევი და ნამთვრალევი, მყისვე ყურმილს წავატან ხელს, ტელეფონი პარალელურია. მეზობელი ოთახის მზეთუნახავებს მთელი დღე პირი აქვთ მოხეული — თავიანთ დაქალებთან და შესაძლებელ საქმროებთან ტლიკინებენ საჭირბოროტო თემებზე. ვუსმენ და ცოდნას ვიმდიდრებ. ვიგებ, სად რა იყიდება, ვინ გათხოვდა, ვის ხნიან, ვის სად ნიშნავენ!.. ძვირფასი ინფორმაცია ერთ ყურში შემდის და მეორიდან არ ვუშვებ — თითით მაქვს დაცობილი; გვერდით მაგიდაზე დომინოს ქვების პრაგაბრუგმა რომ არ შემაწუხოს. დედა, რა გოიმი ხალხი მუშაობს ამ უთავო დაწესებულებაში! ოქროდ ღირებულ სამუშაო საათებს შესვენებამდე და შესვენების შემდეგ უბირ დომინოს ახარჯავენ, იმის მაგივრად, რომ ინტელექტუალურ პოკერს დაახარჯონ. პრეფერანსზე არაფერს ვამბობ, მაგისათვის საჭირო უმაღლესი არითმეტიკის... ბოდიში, მათემატიკის ცოდნა არც მოეკითხებათ რიგით მეცნიერ მუშაკებს, მეცნიერებათა სულ რაღაც კანდიდატებს!

მიქრის ხელფასით უზრუნველყოფილი დრო. ძველებურად მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი შესაბამის ყურში მაქვს შეტენილი, მარცხენა ხელით კი ყურმილი მიჭირავს. ვისმენ საინტერესო საუბრებს, ვიფართოებ გონების არეს.

მესმის ჩვენი ლაბორანტის, შორენას, ოდნავ გაბუტული რომ გეგონება, ისეთი ხმა. ყველაფერს ვიმახსოვრებ. გინდა მაგნიტოფონზე ჩაგიწერია, გინდა ჩემთვის გითქვამს. როგორ დამავიწყდება, მაგალითად, რომ დღეს შორენას დაბადების დღე ყოფილა. არ დავუპატიჟებივარ, მაგრამ აუცილებლად მივალ. რომ არ მივიდე, ეწყინება მამამისს. სათნო კაცია, გამოსაფხიზლებელში მუშაობს. გამოკილ ალკოჰოლიკებს ორლიტრიან ოყნებს უკეთებს.

ნახ. გ. ფირცხალავასი

— რა საკითხზე მუშაობთ ამჟამად?
— სამუშაო და არასამუშაო საათების რაციონალურად შეთავსება-გამოყენებაზე!..

შესვენებაზე ბუფეტს მივაკითხე. დავბრუნდი და ისევ ტელეფონთან მოვიკალათე. ბედი არ გინდა?! — პარალელური ტელეფონით არავინ ლაპარაკობს! სახლებში გაკრეფილან. — ქვეყანა პარასკევია, სულ ფეხებზე ჰკიდიათ საწარმოო დისციპლინა!

არ ვიცი, სად დავრეკე. კაცმა მიპასუხა:

— ვინ ბრძანდებით? — თავდაჯერებულად, ბოხი ხმით ვკითხე.

— ოდილავაძე!

— ძალიან სამღერლად კი გქვთ საქმე! — ირონიულად დავმარცვლე სიტყვები.

რა ამბავია?!

— ვერ გეტყვით. რა საჭიროა, ქმარმა იცოდეს, რომ მისი მეუღლე, ერთ ლამაზ ყმაწვილთან ერთად, ჩაკეტილია სასტუმრო „კონტინენტალის“ 515-ე ნომერში. შეგნებული ადამიანი ბრძანდებით და, იმედია, იქ არ მიხვალთ, არ ჩაამწარებთ ახალგაზრდა ქალს სიყვარულით გაჩახჩახებულ დღეს!

ყურმილი დავკიდე და გავმხიარულდი. მივარდება ახლა ეს ყუმი იქ, იხმაურებს, ნერვებს დაიწყვეტს და, პირში ჩალაგამოვლებული, წავა სახლში, რათა ცოლს სკანდალი აუტეხოს!.. ოჯახიც დანგრევია!

შემდეგ ვრეკავ სასწრაფო დახმარებაში. მანქანას ჩემი კარგი ნაცნობის მისამართზე ვიძახებ. თან ვიცი, იქ ლიფტი გაფუჭებულია! წარმოიდგინეთ: მეცხრე სართულზე ასული აქლოშინებული ექიმი კითხულობს, ავადმყოფი სად არისო და მას ეუბნებიან, იქნებ თვითონ გაქვთ სიცხე, ჩვენ ავადმყოფობა ღმერთმა გვაშოროსო! მაზალო ამბავია, ხომ კი?!

მერე ტელეფონის წიგნი გადავშალე. ვკრებ ნომრებს და მოპასუხეს დედას ვაგინებ უკომენტაროდ! ეშხში შევედი! ახალ-ახალი კონსტრუქციების გინებებს ვიგონებ და სიამე მეფინება გულზე. ისის იყო, სახანძრო რაზმში დავაპირე დარეკვა, მინდოდა, შეძრწუნებული ხმით მეთქვა — გვიშველეთ, ვიწვით-მეთქი, რომ ქვევიდან მეზობელ მაგიდაზე მოათავეს დომინოს თამაში და კისრისტეხით გაიქცნენ სახლებში. სამწუხაროდ, დამთავრდა სამუშაო დღე. არა უშავს, სახანძროს, ავტოინსპექციასა და ტაქსების პარკს ორშაბათს დავურეკავ.

საღამოს შორენას მივადექი. მაგ ნაძირალას ეგრეთ წოდებული ტკბილი სუფრა გაეწყო. ღრფუთიანი ტორტები და ნამცხვრები გამოეტანა. ერთი ცისტერნა ყავა მოეხარშა. დამსხდარან ეს გაუთხოვარი გომბიოები და სკდებიან ყავის სმით და ლაყბობით. მორცხვობასაც აქვს თავისი ფარგლები — სერვანტი გავაღე და ექვსთუმნიანი ფრანგული კონიაკი ვიპოვე.

— მამაჩემი მაგ ბოთლს ჩემი ქორწილისათვის ინახავს! — ამრეზით თქვა შორენამ და ბოთლის წართმევა სცადა. ცდა, რასაკვირველია, უნაყოფო აღმოჩნდა.

— არ იცის მამაშენმა, რომ თვითონ მაგისი ქელეხი შენს ქორწილზე ბევრად ადრე იქნება?! — ენამოსწრებულად მივუგე და გადავიხარხარე. სხვას არავის გაუცინია. სადა აქვთ შინაბერებს იუმორის გრძნობა?!

შეზარხოშებულმა, ერთ-ერთი ქალიშვილი სახლში გავაცილე. სადარბაზოში ნახევარი საათი ვეხუტებოდით ერთმანეთს. ბოლოს დავინტერესდი მისი სახელით. მითხრა. ტელეფონის ნომერი ვკითხე და — არა მაქვსო. წარმოგიდგენიათ, სახელი და დიპლომი აქვს, ხოლო ტელეფონი — არა. ზუსტად როგორც ერთ ჩემს ნაცნობ ძაღლს — კურტიზანკას. იმ განსხვავებით, რომ კურტიზანკამ ოქროს მედალიც მიიღო გამოფენაზე, ამან კი უნაღლესი სამიანებზე დაამთავრა. ისეთ ხასიათზე დავდექი, თითქოს ჩემს უმანკო ტრფობით აღმოდებულ გულს მყრალი სითხე გადაასხეს ცეცხლსაქრობი ბალონიდან. ცივად მოვტრიალდი და წამოვედი. ტელეფონი არა აქვს და, ისე კი გამოპრანჭულა, გეგონება, პრინცესა ტურანდოტი იყოს! კაბა გამჭვირვალე აცვია მედუზასავით, გინდა სცმევია, გინდა — არა! დააცქერდები დაჟინებით და ნახევარი საათის შემდეგ იქნება გაწითლდეს კიდევაც სირცხვილისაგან. კინაღამ არ შემაცდინა დარბაისელი კაცი, ოჯახის თავი, ორი შვილის მამა!..

სახლშიც ვერ დავწყნარდი. ვიწრიალე, ვიწრიალე, ბოლოს აივანზე გამოვვარდი. მუყაოს ყუთიდან „ბალთავოი“ კარტოფილი ამოვიღე და ნერვების დასაწყნარებლად ვიღაც მოპროფესორო იდიოტს ვხიე შლიაპაში. დავინახე, როგორ ჩავარდა შლიაპა ნაგვის ურნაში და ოთახში შევვარდი. და სწორედ იმ მომენტში ჩამესმა ზარის წკრიალი. რეკავდა ასეთი ინტიმური, ასეთი ყვითელი, ასეთი პოლონური ტელეფონი, ანუ, პოეტურად რომ ვთქვათ, ელსინი. ალო!..

— ალო, ალო, რომელი ხარ?! შორენა?! როგორა ხარ, შე დამპალო?! წადი შენი!..

ეპილოგები

1. ესაა რომანი. ხომ იცით, ბოლო ხანებში რომანის დედააზრი უშველებელდება, მოცულობის შემცირების ხარჯზე. ხელოვნება მოითხოვს პატატრუანა მსხვერპლს!

2. არსებობენ თავხედი ხულიგნები. მათ მილიცია ებრძვის, რასაც მივესალმები. მაგრამ ზოგიერთი ჰკუათხელი ჩემისთანა სათნო ჯენტლმენსაც ხულიგნად თვლის, ოღონდ მალულ, ასე ვთქვათ, მორცხვ ხულიგნად. ამ აზრის დაუძინებელი დუშმანი გახლავართ!

გიორგი ჩარკვიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა ქახიძე

ბაჭია

საწყალო, შეჭმას გიპირებს
მგელი, მელია, ტურა!..
მიკვირს, პაწაწა ბაჭიას,
რად გიყურებენ მტრულად?!.

შენც ივარჯიშე ციყვივით,
ისწავლე ხეზე ასვლა! —
მგელი, ტურა და მელია
ველარ შეგჭამენ, საწყალს!

ირმას საჩივარი

დედა ჩამჩიჩინებს,
გვერდით ვეჯდე მუდამ,
არ ავიღო ხელში
თოვლის ცივი გუნდა,
მოვერიდო სირბილს,
მოვერიდო ჭინჭარს!..
სიცხე ხომ არა მაქვს?! —
ყოველ წუთში მსინჯავს!..
მინდა გავიზარდო,
ჩქარა გავხდე დიდი!..
დრო კი განა ჩქარობს?! —
კუს ნაბიჯით მიდის!

ჭრიჭინები

შუადღისას ჭრიჭინებმა
გაახურეს ხერხვა! —
სწორედ იმ ხეს ხერხავენ,
რომელზედაც სხედან!
წაიქცევა ხე და —
გეტირებათ დედა!

ბუზი

აბეზარი ბუზი
სუფრას თავში უზის,
ჩემს წინ ნამცხვარს წუწნის —
თავხედი და წუწკი!..
ხელს ავუქნევ მწყრალად, —
ის ზის, — განა წავა?!
ყბაში სილა ეკუთვნის
ამისთანა ყაჩაღს! —
ჯერ კი ისევ ბზუის! —
ფალავანი არ ჩანს!..

●

პატარაა ჩიტი, მაგრამ
ხარბად კენკავს ჭვავს;
არ იწუნებს ხმელა პურსაც,
რაც მოხვდება, ჭამს!..

პატარაა გოჭი, მაგრამ
რკოს ჭამს, განა — რძეს?!
როცა რკოთი გამოძღება,
ხილს აყოლებს ზედ!..
მეშინია, — ვემალები, —
არ შემჭამოს მეც!..

ბაყაყი

ბაყაყების ბუდეს
ეძახიან ჭაობს,
ამიტომაც ირგვლივ
ბაყაყის ხმა ჭარბობს!..

მეშინია, ყიყინით
არ გაუსკდეს ჩიყვი! —
ხან ქვებს ვესვრი ჭაობში,
ხან მივმართავ სიტყვით, —
ის კი კვლავ არხეინად
ამბობს: „ყი, ყი, ყი, ყი!“



მამალი

ეზოს უვლის გულადად,
ვარიების ამალით,
„ყიყლიყოო!“ — გაჰყვირის
თავმომწონე მამალი.
„მინდა, ძერას ვეჭიდო! —
მიმასწავლეთ, სად არის?!“
ეშინია ბებიას,
ეშინია დედაჩემს!..

ეს რომ ძერამ გაიგოს,
ბუმბულს ზედ არ შეარჩენს!
კვეხნას არ აპატიებს,
შეანანებს დაქადნილს,
წაიყვანს და დავკარგავთ
დიდ-პატარა კარგ სადილს!

კურდღელი

გემრიელად ახრამუნებ
კომბოსტოს და ბოლოკს!..
ფრთხილად, ფრთხილად,
ქურდბაცაცავ,
არ ინანო ბოლოს!
ფრთხილად! —
პატრონს თოფი მოაქვს! —
ძირს არ გაგაგოროს!

თაგვი

ჩვენს სახლს შემოეჩვია
ქურდბაცაცა თაგვი! —
მე თხილები ამწაპნა,
ეკას — კაბის თარგი!..

მპარავს, რაც კი მოხვდება:
კაკალს, კანფეტს, ფაფას!..
ჩემი ბრალი არ იყოს,—
თუ წააწყდა ხაფანგს!..



ბაზაზულს თბილისი საღამო იყო. ზაამირი დაღლილი მოქალაქეები თეატრის მოდგმაზე გადოგამოფიფქულ დათვიანებულები, ზორაბ მილიციელი, რომელსაც სამხრეთეზე კი ორიოქი ასდიოდა, გაფფტებული პატეფოროვით ნამდაუნენ ერთისა და იმავეს გაიძახოდა: „ყველაფერი უმდფერი ოქეეტ უნდა გამოიკითხო?! სად გიხსოვთ, რომელ ქალაქში გიჩანავეთ, შუა მოდაზე დადიოდეს ხალხი?! ეს გადასასვლელი რისთვისაა, თუ იეკი, დახაზულია?!"

„ხალხს" მისი მშვენიერად ესმოდა, თანაურარნაგნენ კოდეკ, მაკრამ მაინც შეა მოდადანე აროკეეფნენ ეადასკალს. გზის შემოკლების მიზნით კი ეარა, ამ ქალაქში მცხოვრებთ არსად ეჩქარებოდათ. უადგილი ისინი ადგილას, ეადასკალი ისინი თავიანთ სუფეურნეულთან ამდელეებენენ და სასნაეულებრივად შემორჩენილ პატეეეოეეკარიალაც იკმაყოფილებენენ. ეკოოდა, ხომ მაინც არ გაეიარეო, ისე, როგორც სხვებს სურდათ?! ორიგინალობის გამოჩენა ამ ქალაქში მეხოცრებთა გაბუფული ოეეოსეკა იყო. მილიციელმაც მშვენეოენად ოკითხა, ეისთან ამეონდა საქმე და ფერეებს ამ ინდეოდა. სოოლიდან ბილიარდის სათამაშოდ გამოპარულ ბიჭს თუ ნაუტაკუოენებდა თავები ხანგანაში: „შენ მაინც ისმაკეოე ნესიერი სიარეული ამგვეს რას ფფერენ? მაგრამ ეეეეე ინეიათად ხდებოდა, რადგანაც სოოლიდან ბილიარდის სათამაშოდ გამოპარულები ბიჭები, როგორც ცნობილია, მილიციელეზე უფრო სწრაფად დარბიან.

— ეერი ინის ტურად გადამაქეია, ინ კაეეს რა ფფერები ამუეებს, რა მოხეელა, ამ ეიზ ფარეენს ცოლ-ეფეელს და, მომეკლა, თუ გინდა!

ჩაიდაპარაკა მანდფრიოფულ ყაიდაზე მეკერილ ულაანმაზა, ყალარა კაცმა, სიმაღლეს, ძირითადად, ეერაფფიდან გრრცელი კოსერი რომ ამ ლეკვდა.

— რომელ კაცს? — ეუფალრნალდ ჯკოთხა საკეების კალორიულობის სამეცნიერო-კულეეეფიი ინსტიტუტის ასპირანტმა ზოთა ქეკაიაძემ.

— ეგეერ რომ დგას, ჭაფრის ქეეეშ.

ეოლორიბის უკან, ჭაფრის ქეეეშ, მარალიკეი ოდგა საგულდაგულოდ თმაგადაეარცხნილი შეკაალლოიანი კაცი, რომელსაც თეფრ ეეკრაზეა და ეალტაფუზე ერრეკი ეამე მეშოფეოოლენინა. სითბოსთვის კი ეარა, — სოლამაზისთვის.

— რაკა?

— რაკა და, რიკი კარ უნდა გამოვიარო, დილას, მუდადეს, საღამოს, ადგიაში, ფარმაციაზე, სეეე ოე დგას. მიყრდნობილია ჭაფრაზე და ათეკალოენებს ხალხს. ახლა მაგიე ცხოერობს და ეეეე ეეეხოოენ ამ ქეეეყანაზე? ფილდგან საღამოობეე ეირიკეი ვმუშაობ და მაინც კარა ნეფი საპეეელ ეერი, უნდა მიეიდე და გამოეეეანაეო. რაკაკაი ეოეამს მიკაგენ, ალბათ, ცხოეოებანა, თორეგ ამე როგორ აენეეგ?! ეგეე მეე მასნაკეოოს და გაეკეოდე კაცი. ოანაარაგ, ამა?! ან საეეს ეარ ალეეს, ან ეოამსეეკეეგ-ეამბალეელი?! ეაკაეფენენ ეა ეოსაანკეოის კარ. ბეკეს, სუფოოდ და ლამაზოდა ეამეკეკაეილი.

— მოეკამს, ამა! კაცი რომ დიდოდან საღამომდე ბალში ბალში ეადგა, ნალმა ოქეეზე ბანოოდეს და ბაგეის ბაეეეეს ნეოეა ჩამდოოდეს და ბაგის ბაეეეეს ეადეკეა არ ეეკეას ფეხზე. ეარიან მაგალინი კაცები. ფილს გამოეწყოოა კარგად, მმკეენერად, ცოლს ეტმეეინ — საქმეზე მიეეეგარო და ფეხს ჭაფრის ქეეეშ. ცოლს, სანაალეს, მარალეკ სალმეზ ეეკ ბეკეეა. ბაგის კი ირა, ეეკ ეეკერ, მეკერეარი კაცი ვარ და მე ძალიან მეოოდნის ეკამეკირი!

ნახ. 3. ბეჟოეეილია

ეორის რეკა

რეპაბ მიეეეეალაე

ნოკალია

— რაის მეცალეკი ხარ? ეეთმეშეკეეეეეა. ჩუმად ეკოთხა ეიროკეოსეარიანმა.

— კალორიულობის ინსტიტუტში ვარ.

— თუ ძმა ხარ, არ დაიძაბეო ეი, დილას რომ მიხვალი სამსაუოენი, რას აკეეეეეთ, თუ ძმა ხარ, რანაირი ოქეეეი მუშაობა?

— ეერმიეეს ეეეეეო, ეკეოთხეეთ, ცდეეს ეკაეეენი, ეაგნაარმობთ.

— რას ამბარობთ?

— მე, მაკალითად, ეძის შემოდეკნილობას ეიკეეეეე სხედასხეეა საკეების პირობებში. ზოგიერთი, ძეკ ეეეეეეეეა ან ქეეეყანაზე? ფილდან საღამომდე ეირიკეი ვმუშაობ და მაინც ეარა ნეფი საპეეელ ერთი, უნდა მიეიდე და გამოეეეანაეო. რაკაკაი ეოეამს მიკაგენ, ალბათ, ცხოეოებანა, თორეგ ამე როგორ აენეეგ?! ეგეე მეე მასნაკეოოს და გაეკეოდე კაცი. ოანაარაგ, ამა?! ან საეეს ეარ ალეეს, ან ეოამსეეკეეგ-ეამბალეელი?! ეაკაეფენენ ეა ეოსაანკეოის კარ. ბეკეს, სუფოოდ და ლამაზოდა ეამეკეკაეილი.

— მოეკამს, ამა! კაცი რომ დიდოდან საღამომდე ბალში ბალში ეადგა, ნალმა ოქეეზე ბანოოდეს ბაგეის ბაეეეეს ნეოეა ჩამდოოდეს და ბაგის ბაეეეეს ეადეკეა არ ეეკეას ფეხზე. ეარიან მაგალინი კაცები. ფილს გამოეწყოოა კარგად, მმკეენერად, ცოლს ეტმეეინ — საქმეზე მიეეეგარო და ფეხს ჭაფრის ქეეეშ. ცოლს, სანაალეს, მარალეკ სალმეზ ეეკ ბეკეეა. ბაგის კი ირა, ეეკ ეეკერ, მეკერეარი კაცი ვარ და მე ძალიან მეოოდნის ეკამეკირი!

ეოლორიბის ეეეეეეეე

ნახ. მ. აბაშიძისა



ოჯახური იდილია...

ცხოვრებისეული ასტრონომია

ვახშმის შემდეგ ჩემმა გამნახევრებელმა მეორე ნახევარმა, როგორც ყოველთვის, ჩვენი ბავშვების საშინაო დავალებები მომართვა დესერტად. ასორტიმენტი ამჯერად მრავალფეროვანი იყო: ფიზიკა, მათემატიკა და ქიმია, საწებლად — ასტრონომია. თუ პირველ სამ საგანს ადვილად მოვუღე ბოლო, უკანასკნელმა ჩემს წინაშე ბევრი ახალი პრობლემა წამოჭრა, რომელთა მნიშვნელობა აშკარად სცილდებოდა სასკოლო პროგრამის ფარგლებს. ამიტომ თავი ვალდებულად ჩავთვალე (კაცობრიობის წინაშე პირშავად რომ არ დავრჩენილიყავი), ეს გენიალური თეორია ქვემორე სახით ჩამომეყალიბებინა:

ჩვენი გალაქტიკის ანუ საპროექტო ორგანიზაციის ცენტრში, რა თქმა უნდა, ჩემი უფროსი დგას. მაშასადამე, იგი არის მზე. მის გარშემო სულმოუთქმელად ტრიალებენ მარსი — პირველი მოადგილე, იუპიტერი — მთავარი ინჟინერი, ვენერა — მდივანი ქალი, რომელსაც ზოგჯერ უფროსის ბრძანებების ბეჭდვაც ევალება, დედამიწა — ადგილკომის თავმჯდომარე. მის გარშემო უამრავი თანამგზავრი (თანამშრომლები) ირევა დასასვენებელი სახლების საგზურების შოვნის იმედით. შედარებით საბრალოდ გამოიყურება საგეგმო განყოფილების გამგე ანუ მთვარე, რომელიც, აქეთ-იქით ბორიალის გამო, ზოგჯერ ამოეფარება მზეს და იწვევს გეგმის ნახევრად ან მთლიანად დაბნელებას, რასაც ხშირად მოჰყვება თეთრი ღამეები და შავი დღეები.

აღნიშნულ გალაქტიკაში მე ვარ სატურნი — მზისგან ერთ-ერთი ყველაზე დაშორებული წერტილი. ტრიალით, იცოცხლე, მეც ვტრიალებ, მაგრამ რად მინდა, თუ არავინ მამჩნევს?! ამის გაფიქრებაზე სევდა შემომაწვა გულზე, კინაღამ ვაღიარე ჩემი უსუსურობა, მაგრამ ბედად აინშტაინის ფარდობითობის თეორია გამახსენდა და გონება დღესავით გამინათდა.

მართლაცდა, განა მე არა ვარ მზე შიდაგალაქტიკაში ანუ ოჯახში?! ამ აღმოჩენით გახარებული უძრავად გავიშოტე ტახტზე და დავიწყე ჩემი სამყაროს მოწესრიგება, ე. ი. მე ვარ მზე, ჩემს სიახლოვეს ფაციფუცობენ ცოლი — ანდრომედა, სიდედრი — მერკური და დიდი დათვის თანავარსკვლავედი ანუ ჩემი სამი ტყუპი ვაჟი. მათი გადაადგილება საკმაოდ რთულია, რადგან ისინი საკუთრივ მოძრაობენ: სიდედრი თავისი ღერძის მიმართ — სამზარეულოში, ცოლი — ბავშვების ირგვლივ, ბავშვები — ბურთის, ზოგჯერ (ქმრის გამოყენებით) — წიგნების მიმართაც.

არადა, რა საინტერესოა ცხოვრება! თუნდაც იმით, რომ ყველაფერი სპირალურად ვითარდება — ქვევიდან ზევით. თუ ამას გავითვალისწინებთ, არც ჩემი უფროსი ყოფილა ნამდვილი მზე. რადგანაც იგი შეუსვენებლივ ტრიალებს ტრესტის მართველის გარშემო, ტრესტის მმართველი — თავის ცოლის ირგვლივ, ეს უკანასკნელი კი — სარკის წინ.

და, აი, ფანტასტიკური სურათიც: ჩვენი გალაქტიკების ცენტრში მოთავსებულია სარკე ანუ ჭეშმარიტი მზე, რომლის გარშემოც ბრუნავს ყოველივე. საბედნიეროდ, ჩემმა ცოლმა არ იცის ეს (ისეა დაკავებული საოჯახო საქმეებით!), თორემ ვინ უწყის, რა მოხდებოდა?! აქ ცნობისმოყვარეობამ წამძლია: ნეტავ, რა მოხდება, ცოლი თუ გაიგებს, რომ სარკე ყოფილა მზე? მოხდება ის, რომ თავდაპირველად ჩემი მეორე ნახევარი მოუხშირებს სარკის წინ ტრიალს. სიდედრი უეჭველად მას აჰყვება.. შესაძლოა, ბავშვებიც წამოეგონ ანკესზე და დედის მხარეზე გადავიდნენ. მომზადებული იქნება რა საფუძველი, ფრანგული მოდა უბოდიშოდ შემოაბიჯებს ჩემს ბინაში და გამოიწვევს საოჯახო ფინანსების ანარქიას. მე იძულებული გავხდები, გავაგრძელო ბზრიალი, ერთის მხრივ უფროსის გარშემო, ხელფასის მომატების იმედით, მეორეს მხრივ კი მაღაზიაში, ცოლის დაკარგვის შიშით!

ამის გაფიქრებაზე საშინელმა აზრმა გამიელვა თავში: მაშ, გამოდის, რომ მე ვარ მარტის ყველაზე უმცირესი ნაწილაკი, რომლის ასავალ-დასავალი არავინ იცის და არც არავის აინტერესებს! ჩემი დანახვა შეუიარაღებელი თვალით, ალბათ, უკვე შეუძლებელია. ნუთუ მხოლოდ სუპერ-მიკროსკოპებს ძალუძთ ჩემი ამ ქვეყნად არსებობის ფიქსირება?! ღმერთო ჩემო! ვარსებობ კი საერთოდ?!

კატასტროფისაგან დეკარტემ მიხსნა: „თუ აზროვნებ, მაშასადამე, არსებობ!“ ამ შეგონებით მე კი გადავრჩი, მაგრამ სარკეები ვერა. სუყველა რომ დავფშვენი, მხოლოდ მაშინ მოვედი გონს. პირველი, რაც შევამჩნიე, ის იყო, რომ ჩემი გალაქტიკის პლანეტები (ცოლი, სიდედრი, შვილები) ბუზღუნით მივლიდნენ გარს.

მალხაზ ცოტაძე

ბალადა პოეტზე, როელიც კარიერისტებს ებრძოდა და თავად...

სერგეი მიხალკოვიდან

იმაზე, რასაც სჩადიხარ, სხვას აძაგებდი, მახსოვს! —
პირბასრ სტრიქონებს კისერზე ულირსს მოსდებდი ლასოდ!..
ერთს და ორს როდი ვიხსენებ, შენგან დაწყებულ კორიდას,
როს მიზანს მარჯვედ თოფავდი, — ახლოდანა თუ შორიდან!
ვინც კახაბერი არ იყო, არც დაარქმევდი კახაბერს
და მართლის მთქმელნიც ხარობდნენ, სადმე თუ ჩავლილს
გნახავდნენ!
როს კარიერისტ პოეტებს მწერლობის მახრა უწოდე,
შენც გამწე ხარი დაგერქვა — კაცს — ბატკანივით უცოდველს!
ნესრიგი გწადდა ყველგან და ყველას უყვარდი ამიტომ!
ამბიცია და სიჩუმე შენი სტიქია არ იყო!..
მოძალადის თუ უნიჭოს თანამდებობით გაბღენძვა
ნერვებს გიშლიდა! იტყოდი: „ეს კაცი ცუდად დაძვრება!
იძრომიალოს, ბატონო, საქმეს მიხედოს ოღონდაც,
მაგრამ, ხომ ხედავთ, არავის ზედ არ უყურებს, მოღორდა!
გახდა ორპირი, ლაქუცა, საწყალობელი ფინია! —
ისე, თავისი წიგნები, იცოცხლე, გაუფენია!“ —
ამბობდი და აგრძელებდი: „ხომ საოცარი რამ არის?! —
ასე გაბერილ სტომაქებს უძლებდეს ტყავის ქამარიც?!
მანქანაც უნდა, სახელიც, არვინ ჰყავს გამკითხავი და!..“
იმ ყოველდღიურ სიმართლეს იმჭორებდი თავიდან.
შინ თუ საჯაროდ ამბობდი, რაც არ მოგწონდა პოეტ კაცს, —
იმ დროს სინდისის ოქროსგან ჭრიდი სინაღდის მონეტას?!
...„საკბილოები“ ერთ დღესაც, — თავად მართალს და ნიჭიერს,—
ჩაგისაფრდნენ და... ლასო კი — კისერზე მჭიდროდ გინევს!..
ნყეულთ ბანაკში აღმოჩნდი (ჩაგავლეს, რაკი იცდიდნენ!),
დაგამუშავეს! ან ამბობ: „მე თავს ვარიდებ ინცინდენტს!“
მოგართვეს სავარძელი და (სავარძელს თვლემა სცოდნია!),
ასეა, ჩემო ძამია, — ხუმრობა საქმე როდია, —
შენი პრინციპის დამცველი ბოლომდე დარჩე კაცურად! —
(თითო-ოროლამ მდინარე ასე კაცურად გაცურა!) —
ეგ დღეს გმირობის ტოლია, — დამეთანხმები ნამდვილად,
თორემ შენ სავარძელმაც ხომ უცბადვე მოგინადირა?!
ჰაი, ჰაი, რომ სხვა იყავ, სულ სხვა დონის და სხვა ტონის!
დღეს გქვია (ნეტავ არ გერქვას!) მანქანის, „დაჩის“ პატრონი!
ბოთლზე საცობად მოგარგეს — გაბღენძილ-თავაწეული,
სული კი მაშინ დაკნინდა, რომ აგიფუვდა სხეული!
ახლა კითხულობ არავის! — კმაყოფილი ხარ შენით და,
სახალხოდ რასაც ებრძოდი, ის ჭვარტლი შენში შენივთდა!..

●

გახსოვს?! — სინმინდე რომ გქონდა, გამქრალა, როგორც ბოლი!..
იქნებ, მაშინაც ტყუოდი სავირეშმაკო როლით?!
...იმაზე, რასაც სჩადიხარ, — სხვას აძაგებდი, მახსოვს!
ამგვარად, ნებით კისერი ხომ მიაგებე ლასოს?!.
ამიტომ შენი კაცობა კაპიკად აღარ ფასობს!..

●

მ ო რ ა ლ ი: მუდამ იცოდე, კარიერისტი პოეტი
მოსარიდია, ძამია, სადაც არ იყო, — ყოველთვის!

დილარ ივარდავა

ნახ. რ. ჯაშისა



უსიტყვოდ

ფრაზები

● კანონთან კუკუმალობანას თამაში ცხრაკლიტულში დაამთავრა.

● ნვრილმანი საგნის დაკარგვას ნუხდა, სინდისის დაკარგვა კი სულაც არ ანაღვლებდა.

● გამრუდებულ საქმეს გამოუსწორებელი დირექტორის მინასთან გასწორებამ უშველა.

● მშენებლობას მაშინ აქვს ფასი, თუ მშენებელი აშენებას არ აპირებს.

● სასარგებლო აზრი კოლექტივში იბადებოდა, მის ავტორად კი დირექტორი ინათლებოდა.

ოთარ სტაშაძე
(ქ. ბ ო რ ჯ ო მ ი)

● მილიონი რომ კაპიკებისაგან შედგება, — ეს ყველაზე პრაქტიკულად მემნვანილემ იცის.

● იგი ზედმიწევნით ორიგინალური იყო: არავის გავლენას არ განიცდიდა, არავის არ ბაძავდა, არავის არ ჰგავდა!.. ერთი სიტყვით, უმსგავსო იყო.

● დედამიწა ყველაზე დიდი მლიქვნელია: ერთთავად მზის გარშემო ტრიალებს.

გარი მეტრეველი

ნახ. ვ. აბაშიძისა

— მთავარია არ ინერვიულოთ!..
— როგორ არ ვინერვიულო, ექიმო, როცა ჩემი კომბინატორი მეზობელი ჩემზე უკეთესად ცხოვრობს?!.

492
4.VIII 83

კლასიკური აღზრდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილი ჩეხი სატირიკოსი მწერლის — იაროსლავ ჰაშეკის დაბადების 100 წლისთავის გამო გთავაზობთ მის ერთ-ერთ იუმორისტულ მოთხრობას.

მოხდა გაუგონარი ამბავი:

გიმნაზიის მეორე კლასის მოწაფე ბატიკი, ყველაზე ღარიბი, მაგრამ ყველაზე ბეჯითი და ყოფაქცევითაც წარჩინებული მოსწავლე, სწავლის ქირისაგანაც რომ იყო განთავისუფლებული და უფლებაც დაიმსახურა, უფასოდ მიეღო მონაწილეობა ექსკურსიაში, და, ყველა ამასთან ერთად სკოლის ფონდიდან სამი რვეულიც რომ მიიღო ხუთი კრეიცერის ღირებულებით,— სწორედ მაშინ, როდესაც ლათინური ენის გაკვეთილზე მისი ჯერი დადგა და მასწავლებელს უნდა გაეძახა, — აი, ეს სამაგალითო ბიჭი ადგა და თქვა:

— ბატონო მასწავლებელო! მე აუცილებლად მესაჭიროება საპირფარეშოში გასვლა!

მასწავლებელი ჰომეცი გაშტერდა, თითქოს მეხი დაეცაო.

მის გვერდით მდგომი ინსპექტორი, ჰელმუტი, კი გაფითრდა, როგორც კირით შეთეთრებული კედელი. შემდეგ მიბრუნდა საბრალო ბატიკისაკენ და მკაცრად ჰკითხა:

— რა გქვიათ?!

მოსწავლე გაწითლდა.

— ვლადისლავ ბატიკი, გორნი მრაჩედან! — უპასუხა შემკრთალმა.

ინსპექტორს სახე დაემანჭა.

— რა უფლებით და რა საფუძვლით, თქვენ, ვლადისლავ ბატიკო, გორნი მრაჩედან, სარგებლობთ ამ შენობაში სიტყვა „საპერფარეშოთი"?! ბატონო მასწავლებელო, გთხოვთ, აუხსნათ, თუ როგორ უნდა ითხოვოს ზრდილობიანმა ბიჭმა ნებართვა საკლასო ოთახიდან გასვლისათვის, არა უმეტეს ხუთი წუთით! ამ დროის ამოწურვისთანავე კი მოწაფე აღინიშნება ჟურნალში და მისი ნიშანი ყოფაქცევაში უნდა დაიწიოს! — თქვა ინსპექტორმა, გამანადგურებელი მზერით გადახედა კლასს და კათედრასთან დაჯდა.

მასწავლებელმა ჰომეცმა ჩაახველა და შემდეგ განაცხადა:

— მაშასადამე, ასე... რომის ლიტერატურის ისტორია გვასწავლის, რომ თავიანთ ნაწარმოებებში რომაელი პოეტები იყენებდნენ მხოლოდ და მხოლოდ მაღალ საზოგადოებაში ხმარებულ გამოთქმებს, აქედან გამომდინარე კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ...

ბატიკი ისევ წამოდგა. ცახცახებდა.

— გთხოვთ, ბატონო მასწავლებელო, ნება მომეცით, გავიდე!..

— არა, ბატიკ, მას შემდეგ, რაც თქვენ ჩაეფლეთ ვულგარულ უხამსობაში, უკვე გვიანაა წესიერი სიტყვების ხმარება! ვერ ვიტან გარყვნილობას, და, საერთოდ მიკვირს, თქვენ — ღარიბმა ბიჭუნამ — რომელსაც მხოლოდ საბრალო დედის, საწყალი ქვრივის დახმარების იმედი გაქვთ, ხმარობთ სიტყვებს, რომელთა გამოც დაირცხვენდა სოფლის ყველაზე უკანასკნელი და უღარიბესი ბოგანოც კი! ამ მომენტიდან თქვენი ნიშანი ყოფაქცევაში ერთი საფეხურით დაიწევს, იმიტომ, რომ ქორფა ხე დროზე უნდა გასწორდეს, სანამ გვიან არ არის, სანამ ადამიანთა საზოგადოება არ გახდება ერთი უმსგავსო ეგზემპლარით მეტი! მე თქვენ უკვე გითხარით, ლათინური ენა საშუალებას იძლევა და საგრძნობლად უწყობს ხელს ყველას, ვინც საკმაოდ მონდომებით სწავლობს ამ ენას, შეიძინოს კეთილშობილური გამოთქმები, ამასთან — მაღალი საზოგადოების აზრი და ფიქრები'

ბატიკის მღელვარება ძლიერდებოდა. მან მუდარით შეხედა ინსპექტორს, რომელიც გულგრილად ათვალიერებდა თავის ფრჩხილებს, ბიჭმა მზერა კედელზე ჩამოკიდებულ კარნაკის ტაძრის სურათზე გადაიტანა. თვალები ცრემლებით აევსო. ო, შესაძლებელი რომ იყოს, ახლა, იქ, იმ ტაძრის ნანგრევთა შორის ყოფნა!..

მასწავლებლის სიტყვები თითქოს შორიდან მოესმა:

— უკვე რამდენჯერ ვცადე, შთაგონებით ამეხსნა თქვენთვის, რომ ყოველი თქვენგანის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში უნდა ჩანდეს ჩემი ამდენი ამაგის კვალი — აგეზარდეთ წესიერ ადამიანებად! ძველი რომაელები ატირდებოდნენ თქვენს გამო ბატიკ! იულიუს კეისარი, ოვიდიუსი, ციცერონი და გრაკხი ზიზღით შეიბრუნებდნენ თქვენგან სახეებს, ბატიკ!.. საით წაიღეთ ხელები?!

— ბატონო მასწავლებელო.. — წაიჩურჩულა საბრალომ.

— გაჩუმდით! გარდა ცუდი ყოფაქცევისა, მე თქვენში ვამჩნევ სხვა არანაკლებ საძაგელ ჩვეულებას! თავის მართლებას აპირებთ?! თქვენ გავიწყდებათ, რომ ღარიბი ხართ და გათავისუფლებული ბრძანებით სწავლის ქირისაგან! ასე და ამრიგად, ფეხქვეშ საფუძველი გეცლებათ! დაიხსომეთ, რომ კეთილშობილი სიტყვები — კეთილშობილი სულის გამოხატულებაა და ამისკენ თქვენ მიჰყავხართ კლასიკურ აღზრდას, რომელსაც...

ბატიკის წამებამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია!.. სახე გაუწითლდა!.. ტანი აუცახცახდა სასოწარკვეთილი ატირდა.

— ამის გამო, ბატიკ, იძულებული ვარ, სამაგალითოდ დაგსაჯოთ- თქვენ დაარღვიეთ ჩვენი სიმშვიდე, როგორც ბარბაროსმა და, როგორც ბარბაროსმა, უნდა მოინანიოთ საზიზღარი, აუტანელი, უხეში და უწესო სიტყვა!.. მაქსიმილიანე, რომელმაც ორჯერ უარყო რომის იმპერიის ტახტი...

ბატიკის გარშემო ერთბაშად ხუთი ხელი აიწია.

— რა გნებავთ, შორეის?!

— ბატონო მასწავლებელო, თუ შეიძლება, ნება დაგვრთეთ, ფანჯარა გავაღოთ!

თარგმნა ნანა კანდელაკმა

ნახ. ვ. კუციასი



უსიტყვოდ

უსიტყვოდ

მეცნიერული ძიებანი

დევიზით:

„მიმიშვით, მეც ვიცავ დისერტაციას!“

ქართული ანდაზების განმარტება

„ქართული ანდაზებისა და სიტყვა-თქმების წარმოშობის, გავრცელების, ზნეობრივ-სოციალური საფუძვლების, გეოგრაფიულ-ბიოლოგიური (ფლორა-ფაუნითურთ) გარემო პირობების საკითხები, მათი შემეცნებითი, კომუნიკაბელურ-საურთიერთობო ხასიათი, თემატური განლაგება-განვითარება, იდეურ-მორალური მრწამსი, ამას თანავე ფუნქციონალური დანიშნულება და მიზანმიმართება, აზრობრივი და მხატვრულ-სიტყვიერობრივი ურთიერთშერწყმა-შეპირაპირება და, უპირველესად, საყოფაცხოვრებო-ეკონომიკური, ასევე ესთეტიკური მნიშვნელობა მათი კონკრეტული ადგილობრივ-გლობალური და ზოგადსაკაცობრიო მინიშნებების ფონზე“.

(ეს დისერტაციის ქვესათაურია)

ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო. ამ ანდაზით იწყება ქართული ანდაზების კრებულთა დიდი ნაწილი და ჩვენც ამ ანდაზის განმარტება დავისახეთ პირველ ყოვლისა (მით უმეტეს, რომ იგი, ე.ი. ანდაზა, იწყება „ა“ ასოთი და ქართული ანბანიც, ანუ ალფაბეტი, მოგეხსენებათ, „ანით“ იწყება, სხვა ალფაბეტებზე რომ არაფერი ვთქვათ!).

ა ლ ა ლ ი — ფრინველია ერთგვარი, მტაცებელთა ჯიშს მიეკუთვნება (იხილეთ ქართულ ხალხურ ლექსში: „ჩამოგიქროლებს ალალი...“ და ა. შ.).

კაცნი მას ნადირობისათვის წურთნიან ისევე, ვითარცა მიმინოს, შავარდენს, ქორსა და სხვა ამსგავსთა.

კაცსა ერთსა თურმე ალალი ჰყვანიყო. ააფრინა მან ალალი იგი და აღარ მოფრინდა ფრთოსანი უკან. იქვე მეგობარი მდგარიყო მისი (კაცის) და ჰრქუა მან: „ნულა იწუხებ და შეიცხადებ ეგზომ ფრინვლის უკან მოუფრენლობას, რამეთუ ვერაგობა თვისება არს მტაციობ ნადირ-ფრინველთა. ჩათვალე ესრე, რაც არ არი, არ არიო! თითქოს არცა გყოლოდეს აროდეს ფირნველი იგი!“

ხალხი ამ გამოთქმას გადატანითი მნიშვნელობით ხმარობს (როგორც ზოგიერთ სხვა ანდაზას), როცა ვინმე წავა და აღარ მობრუნდება.

აქლემი ისე არ დავარდება, ვირის საპალნე ვერ აიკიდოსო. ვისაც აქ მოხსენიებული პირუტყვები უნახავს, დაგვერწმუნება, რომ მართლაც აქლემი გაცილებით დიდი და ძლიერი ცხოველია, ვიდრე, რატომღაც, საყოველთაოდ ყბადაღებული, ყოვლად უწყინარი ვირი (ამ უკანასკნელსაც აქვს რიგი სასარგებლო თვისებები!). ვირი, თავისი სიმცირის გამო, აქლემთან ვერ მივა ტვირთტევადობით და, საკმაოდ დიდი ძალის მიუხედავად, ვერც ტვირთამწეობით და ტვირთაზიდვით.

აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდიაო. ეს ანდაზა დიდად არის გავრცელებული, მაგრამ მთლად ვერ დაგეთანხმებით; უფრო თერძის ნათქვამი უნდა იყოს და ვიწრო საუწყებო ინტერესებიდან გამომდინარეობს. სად ნემსი და სად აქლემი — „უდაბნოს ხომალდი!..“ რას ლაპარაკობ?!.

ახალი ცოცხი კარგად გვისო. — შესანიშნავი ანდაზაა! რას ნიშნავს ხალხის სიბრძნე და საუკუნოვანი გამოცდილება! მართლაც, თუ დააკვირდებით, შეამჩნევთ, რომ ახალი ცოცხი გაცილებით უკეთ გვის, ძველი კი, რაკი გამეჩხრებული და გაცვეთილია, რაც უნდა მონდომებით მოუსვათ, მაინც ტოვებს შიგადაშიგ ნაგავს.

დათვი რომ მოგერევა, ბაბა დაუძახეო. ერთი კაცი ტყეში მიდიოდა, მოულოდნელად დათვი დაესხა თავს, წააქცია და [illegible] ბუბნა. კაცი შეეხვეწა: „გამიშვი და ბაბა იქნები ჩემი!“ [illegible] ბობს ორი გადმოცემა: ერთი ვარიანტით დათვს გა[illegible], მეორე ვარიანტით კი — პირიქით. ახლა ძნელია იმის დადგენა, როგორ დამთავრდა მათი შეხვედრა, ამიტომ ორივე ვარიანტია გავრცელებული. ისე, ჰუმანური თვალსაზრისით, პირველი ვერსია სჯობს და ჩვენც მას ვუჭერთ მხარს, თუმცა მთლად დათვის იმედიც არ შეიძლება იქონიოს კაცმა.

ვინც იცის ცეცხლია, ვინც არა — ცერცვიო. აქაც ორი ვერსია არსებობს (მეორე ვერსიას ჩვენ მივაგენით!). პირველი, როგორც ლიტერატურული წყაროებისა და ზეპირი გადმოცემების აბსოლუტური უმრავლესობა იუწყება, ასეთია: ერთ მღვდელს მეტად საჩოთირო საქმეზე შეუსწრია თავის ცოლთან ერთი კაცი და გამწარებული უკან დასდევნებია საოჯახო მოვალეობის შესრულებაში უნებართვოდ და თავხედურად ჩაზიარებულს. დევნილმა მღვდლისავე ბოსტანზე გადაირბინ-გადაიჯირითა და, სირბილშივე, ერთი მუჭა ცერცვი მოგლიჯა. დევნის მარშრუტზე, მოპირდაპირე მხრიდან, მგზავრი შემოხვდათ, რომელმაც გაკვირვებულმა შესძახა გაავებულ ღვთის მსახურს: კაცო, ერთი ბლუჯა ცერცვისთვის კაცს მოსაკლავად მისდევ?! წამო ჩემსა და, რამდენიც გინდა, იმდენს გამოგატანო! ანაფორააკაპიწებულმა, თვალებგადმოქაჩულმა და გვერდზე წვერმოქცეულმა მღვდელმა სირბილშივე მოუხედა შეხვედრილ გაოცებულ პირს და მიაძახა: „ეჰა, ჭაბუკო! ვინც იცის, ცეცხლია და ვინც არა — ცერცვიო“ და დევნა განაგრძო.

მეორე ვერსიით, პირიქით ყოფილა: მღვდელი წინ გარბოდა თურმე და კაცი უკან მისდევდა; ე. ი. მაცდუნებლისა და დაზარალებულის როლები ამ შემთხვევაში შეცვლილია, რაც, რა თქმა უნდა, რელიგიის მსახურებსა და მათ დამქაშებს ხელს არ აძლევდა და მათ პირველი ვერსიის გავრცელებას და მეორე ვერსიის მიჩქმალვა-მიფუჩეჩებას შეუწყვეს ხელი.

ასეა თუ ისე, ანდაზა ფართოდ გავრცელდა და მას ისეთ შემთხვევაში იტყვიან, როცა რაიმე ამბავი ზოგმა იცის და ზოგმა არა.

თამაზ სალუქვაძე,

ჯერჯერობით — სამეცნიერო ხარისხის მძებნელ-მაძიებელი.

P. S. თავმდაბლად შევნიშნავ: სამეცნიერო საზოგადოების (აგრეთვე მასების) სამსჯავროზე გამოტანილი ეს ჩემი გენიალურ-მოკრძალებული ძიებანი მხოლოდ კანდიდატობას უმიზნებს, სადოქტორო ანი ნახეთ!

ნახ. ა. ოქროპირიძისა

უსიტყვოდ

უსახელო ჯღაბნიავ!..

მიკვირს, რად არ გეღლება, ხელი ამდენ წერითა?!
სულში შხამი გვედვრება მზაკვრულ თვალთა ცქერითა!..
ჯღაბნი, ჩმახავ, ჯახირობ, შეუპყრიხარ უცხო სენს!..
ცოდვილ კალმით ნადირობ, ლანძღავ უმცროს-უფროსებს!..
სხვების წინსვლა გაცოფებს — სხვების შურით ყბებმიმხმარს,
ცუდის ლანძღვა რას მოგცემს?! — მუდამ კარგის მტერი ხარ!..
კალმის წვერი გიცვდება, თუმცა ეს არ გადარდებს!..
ბოლმით გული გისკდება, რომ ვერ აღწევ საწადელს!..
უსახელო „ტომებით“ რომ ავივსე მაგადა,
ხალხის ლანძღვა გეყოფა?! — ჰონორარი არ გინდა?!
ჩმახე! წერე! — მაგ წერით ვერვინ დაგიჯაბნია! —
სახელოვანს რას უზამ, უსახელო ჯღაბნიავ?!
რამდენ ცოდვას სჩადიხარ, თუმცა მშრალზე დაგტოვეს!..
აგრემც თაგვი დაგიხრავს ცოდვით სავსე მაგ „ტომებს“!..
ბნელ ფიქრებში ჩაფლულხარ, ვერვინ გამოგასწორებს!
ასი როზგი პასუხად შენისთანა „ავტორებს“!

ეთერ სამხარაძე
(ქ. სოხუმი)

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ №11 (1645) ივნისი. გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, ნოდარ დუმბაძე, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია (მხატვარი - რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (პასუხისმგებელი მდივანი), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე,**

ვაჟა ჭანიშვილი (მთავარი რედ. მოადგილე). **ნაფი ჯუსოითი.**

●

ტექნიკური რედაქტორი **მიხეილ კუხალაშვილი**

●

გადაეცა ასაწყობად 11.5. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.6. 83 წ. ქაღალდის ზომა 60X90¹/₈ ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 1,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,7. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14 შეკვეთა №1269 უე 07196 ტირაჟი 138.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

●

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8 რუსთაველის პროსპექტი № 42.
ტელეფონები: მ. ავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი - მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137

ისრაელი, შეერთებული შტატების მხარდაჭერით, არ აპირებს ლიბანიდან [illegible] ჯარების გაყვანას.

გაზეთებიდან

ლაფანჭამიები